საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990123113344218

№09/3511 **10 / სექტემბერი / 2018 წ.**

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

სსიპ-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2018 წლის 6 სექტემბრის N6/49855 კორესპონდენცია, რომელიც ეხება დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩა N40-ში და მის მიმდებარედ არსებული 2 (ორი) ერთეული (ს/კ: N61.11.21.016; N61.11.21.020) და დაურეგისტრირებელი 7746 კვ.მ უძრავი ქონების პრივატიზების საკითხს.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ შენობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, თუმცა იგი მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის-საცხოვრებელი სახლის (მის: ადიგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი, ზ. ფალიაშვილის ქ. N42) ინდივიდუალურ დამცავ ზონაში, კერძოდ, ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დასახელებული კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით.“

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის: ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას; ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა; გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას; დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი ქმედება, რომელიც გავლენას იქონიებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობაზე შეთანხმებული უნდა იქნას სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი მოხდეს თქვენი წერილით გათვალისწინებული ქონების პრივატიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე